ტრენინგი არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების შესასწავლად გასამართი კენჭისყრის პროცესის პილოტისთვის

საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, პოლიტიკური პარტიების ინიციატივითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ტექნიკური მხარდაჭერით, 2021 წლის მარტიდან, სამუშაო შეხვედრები გაიმართა. აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფის შემოთავაზებით 2021 წლის 12 ივნისისთვის განისაზღვრა იმიტირებული არჩევნების ჩატარება ცესკოს შენობაში.

ზემოაღნიშნული პილოტის მიზნებისთვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების გადასამზადებლად, ცესკომ და სწავლების ცენტრმა 10 ივნისს უზრუნველყო შესაბამისი პროცედურული ტრენინგის ჩატარება. სატრენინგო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები დეტალურად გაეცნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესასრულებელ ფუნქციებს საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შეჯამების ჩათვლით პროცესში, პილოტის ფარგლებში შემოტანილ პროცედურულ და ტექნოლოგიურ სიახლეებზე აქცენტირებით.

ტრენინგის ფორმატში სამიზნე ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებებში, რომელიც ტექნოლოგიური რესურსის გამოყენების პრაქტიკულ სწავლებას დაეთმო. პარტიების ინიციატივით პილოტისთვის შემუშავებული ტექნოლოგიური პლატფორმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით შეხვედრის მონაწილეებს დამატებით ინფორმაციას აწვდიდა სპეციალური ჯგუფის წევრი, პოლიტიკური პარტიის „გირჩი - მეტი თავისუფლება“ წარმომადგენელი, იმედა კლდიაშვილი.

პილოტის მიზნებისთვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების გარდა, ტრენინგს ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

დამატებითი ინფორმაცია:

http://electionreforms.ge/geo/list/show/3116-treningi-archevnebshi-eleqtronuli-teqnologiebis-gamokenebis-shesadzleblobebis-shesastsavlad-gasamarti-kenchiskris-protsesis-pilotistvis

http://electionreforms.ge/geo/list/show/3115-treningi-archevnebshi-eleqtronuli-teqnologiebis-gamokenebis-shesadzleblobebis-shesastsavlad-gasamarti-kenchiskris-protsesis-pilotistvis-monatsileta-dastsrebis-statistika-2021